საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1531 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

საქართველოსა და არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდს შორის „ბათუმი-ახალციხის გზის პროექტის“ ხულო-გოდერძის მონაკვეთის სასესხო ხელშეკრულების ხელმოწერის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსათვის თანხმობის მიცემის შესახებ

„სახელმწიფო ვალის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 2^2 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, რომ საქართველოს სახელით დადოს სასესხო ხელშეკრულება, საქართველოსა და არაბთა ეკონომიკური განვითარების ქუვეითის ფონდს შორის „ბათუმი-ახალციხის გზის პროექტის“ ხულო-გოდერძის მონაკვეთის დაფინანსების მიზნით, 8 მილიონი ქუვეითური დინარის ოდენობის დაფინანსების სესხის სახით გამოყოფის შესახებ, შემდეგი ფინანსური პირობებით:

სესხის ოდენობა:	8 მილიონი ქუვეითური დინარი;
სესხის ხანგრძლივობა:	25 წელი (მათ შორის, შეღავათიანი პერიოდი 5 წელი);
წლიური საპროცენტო განაკვეთი:	2.0%;
ადმინისტრირების საკომისიო:	0,5% სესხის ჩამორიცხულ თანხაზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**